«დროების» რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

გორის უეზდის კეთილშობილთა წინამძღოლი

აცხადებს და უმორჩილესად სთხოვს უეზდის თავადთ და აზნაურთ მობრძანდენ ქ. გორს თებერვლის 5 დღესა, ათ საათზე, უეზდის კეთილშობილთა კრებაზე, რომელზედაც იქნება სალაპარაკოდ შემდეგი საგნები: 1) განაწილება ფულისა თავად-აზნაურზე, აღსაზრდელათ მათი შვილებისა. 2) განაწილება ფულისა შესანახად დეპუტატის კრების და წინამძღოლების კანცელარიისა, და 3) მოსალაპარაკებლად თავიანთ საჭიროებაზე და სასარგებლო საგნებზე. (3—1)

ვაუწყებ გორის მაზრის კეთილშობილთ, რომ ქ. გორში ვაღებ კანტორას სადაც მივიღებ «ვიკუპნი დაგოვორების» შედგენას მებატონეთ და გლეხთა შორის მამულების შესყიდვაზედ. მსურველთ შეუძლიანთ მობრძანდნენ მოსალაპარაკებლად ჩემს კანტორაში რომელიც გაიღება ამა იანვრის 27-ს დიდ ქუჩაზე.

ილიკო მაჭავარიანი.

(4—4)

## შინაური ქრონიკა

— მეტის-მეტად დაწიოკდენ ჩვენი ქალაქის ვაჭრები და შემდეგში კიდევ უფრო მეტი დაწიოკება მოელით. ტამოჟნის მოხელეები მათთვის იმ სიკვდილის ანგელოზად გადიქცნენ, რომელიც ეგვიპტეში სათითაოდ უვლიდა სახლებს და საზარელს კვალსა სტოვებდა. ტამოჟნის წესით, ვისაც კი კონტრაბანდა აღმოუჩნდება, საქონელსაც წაართმევენ და ერთი ხუთად გადაახდევინებენ იმ «პოშლინას», რომელიც უნდა წესისამებრ გადაეხადათ. ამ გვარად ბევრს მოვაჭრეს სრული გაღარიბება და იქნება გაკოტრებაც მოელოდეს. საერთო ტირილი და გოდება მოისმის ჩვენს ქალაქში. დამნაშავენი სხვა-და-სხვა ხრიკებს იგონებენ; ზოგნი ამბობენ პლომბები ააწყდა ჩემს საქონელსაო; ზოგნი—აქვე სხვისგან ვიყიდეთო; ზოგნი თურმე გაყიდული საქონლის პლომბებს კონტრაბანდის საქონელს ხელახლავ აზმარებენ და სხვ., მაგრამ არაფერი არა შველით-რა და საქონლით დატვირთული პოვოზკა მიდის ტამოჟნისკენ. მალე უნდა ბევრს ღირსსაცნობ ამბებს მოველოდეთ.

— სოფ. მაღაროდამ (სიღ. მაზრა) გვწერენ: «როგორც სხვაგან მოხდება ხოლმე, ჩვენს სოფელშიაც ხშირად იციან ხარჯის ამკრეფებმა ჯიბეში ფულების ჩავიწყება და ამის გამო ერთი და იგივე ხარჯი ხშირად ორჯერ მოიკრიფება ხოლმე. ხალხი მეტად უმეცარია, რომ ანგარიშისს მიხვდეს; აქამდის კი ჯევ რიგიანი სკოლა გვქონდა და ცოტას ვსწავლობდით რასმეს, ეხლა ესეც დაგვეკეტა. ჩვენს სიღარიბეს ზედ დაერთო აგრეთვე პირუტყვის საჭმლის უქონლობა. აქამდის კიდევ ზამთრობით საქონელი მინდორში დადიოდა და ისე იკვებებოდა, მაგრამ წრეულს კბილის გამოსასიჩქნსაც ვერსად ჰპოულობს. არ ვიცით, რომელს ავუვიდეთ: ადამიანების შიმშილს, თუ საქონლისას!

— 31 დეკემბერს, დილის ათ საათზე დანიშნული იყო მეორე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლესთან საქმე ბ. არტ. თამამშოვისაგან ბ. ზუბალოვის სიტყვით შეურაცხებაზე ქალაქის საბჭოში. რადგან პასუხის მგებელი ბ. თამამშევი სამზღვარ გარეთ იმყოფება, უწყება ვერ ჩაებარებინათ და ამის გამო საქმე გადაიდვა. მომჩივარს ნება მისცეს ორის თვის განმავლობაში სასამართლოს უჩვენოს ბ. თამამშევის ადრესი.

— 31 იანვარს, მუხრანის ხიდის «პარომთან», ორმა გლეხმა მოლალა ექვსი სული ცხვარი. ცხვრების და თავის გადასაყვანში გლეხებმა გადაიხადეს ორი შაური. გლეხები ჩიოდენ—ნეტავი ექვსი შაური გამოერთმიათ და მიხაილოვის ხიდზე კი მოეცათ ნება გაგვეტარებინა ცხვარიო. ეს უბრალო და კერძო ამბავია, რომელზედაც არა ღირს, კალმა ხმა ამოიღოს. მაგრამ როდესაც ამისთანა «უბრალო» ამბავს მიუმატებ დღეში ათსა და ოცს ამისთანავე ამბავს, მაშინ ასეთი ბუჩულებისაგან სდგება კარგა ბარაქიანი გარემოება, რომელიც საშინლად ავიწროებს ცხვრისა და ძროხის მომრეკს. ორთაჭალის ხიდის გარდა, არც ერთს ხიდზე არ ატარებინებენ არც ცხვარსა და არც ძროხას. ამისთანა განკარგულება, მგონი, უფრო იმაზეა აშენებული, რომ ხიდებზე ვიწროობა არ იყოსო და თანაც, რაკი ორთაჭალის ხიდზე ქალაქს მებაჟე უყენია, რომელმაც 5 ცხვარზე ორი კაპეიკი უნდა ახდევინოს და თითო ძროხაზე თითო კაპეიკი,—ამიტომ თუ არ ორთაჭალის ხიდი, სხვაგან გატარება აკრძალულია. წარმოიდგინეთ, ეს განკარგულება რამოდენ შევიწროებას აყენებს ცხვრის და ძროხის მომრეკს. მთქვათ, ვერაზე მორეკეს 30 ცხვარი და უნდათ გარეკონ პუკიაში. მორეკეს მიხაილოვის ხიდთან. იქ მაშინვე წინ გადუდგება «გოროდოვოი» და არ უშვებს—

«დროების» ფელეტონი, 32 იანვარი.

## ფელეტონი ქუთაისიდამ

(დასასრული *)

სხვებრ, ვნახოთ, ვინ გაბედნიერდება ან ერთი და ან მეორე სავარძლით. ეს კი ცხადია, რომ ახალი თავი ვერც ამერიკას გამონახავს და ვერც თოფის წამალს გამოიგონებს. სანამ ყველაფერი დამოკიდებული იქნება ზოგიერთების სურვილსა და ნებაყოფლობაზედ, სანამ თვით-მმართველობა კერძო პირის სათამაშო იქნება, რომელსაც კანონის ძალით უფლება ექნება შინიჭებული ყოველს თვით-მმართველობის ნაბიჯს გადაელობოს; სანამ, ვამბობთ, თვით-მმართველობას საკუთარს ფეხზედ არ დააყენებენ... მანამ იქიდგან ბევრი არა გამოვა-რა... ამ ბოლოს დროს თვითონ მართებლობის მხრიდგანაც სანუგეშო ხმები ისმის და ვნახოთ, რა იქნება!... ახლა კი ქუთაისის თვით-მმართველობას ის უბედურებაც ეყოფა მოსანელებლად, რომელიც მას მოულოდნელად ეწვია ამ ბოლოს დროს. თვითონ წარმოიდგინეთ, რომ საბჭოს პირველი ნაფიცი ორატორი აღარა ჰყავს და თვით ქალაქის ინტერესებსაც უერთგულესი დამცველი გამოეცალა,—ხმოსანთა რიცხვში გამოკლებულია ბ. სოლომონ ღულაძე!... ამ სამწუხარო ამბავს განმარტება აღარ ეჭირვება... ჰმ, ჰმ!... ბ. ს. ღულაძე რომ ერთს ლაზათიანად დასჭყივლებდა საბჭოს დარბაზში,—ჰეი, თქვენ, რას ტლიკინობთო!... ყველას ხმა უნდა ჩაეკმინდა. ახლა... ახლა კი—ჰოი ღმერთო ჩემო!—ბატ. სოლომონ ღულაძე ხმოსანთა სიაში აღარ სწერია!...

***

ცუდი, ნამეტანი ცუდი წელიწადი იყო წარსული წელიწადი ჩვენის იმერეთისათვის. მე არ ვამბობ იმაზედ, რომ სიკვდილის უწყალო ცელმა მოაშორა ჩვენს ქვეყანას კლასიკური პოეტი თ. გ. ორბელიანი და შესანიშნავი, დაუღალავი მოღვაწე. ბ. ს. მესხი!... არა; ყოველი ეს მავიწყდება, როდესაც ვხედავ ჩვენს სახელოვანს თავად-აზნაურობას,.. დაობლებულს,!... ჩვენს თავადაზნაურობას საწუთრომ მოსტაცა წინამძღოლი და მერე გუბერნიის წინამძღოლი თვისის მეუღლითურთ... ნეტარხსენებულის თ. ნ. წერეთლისაგან ბევრი, ბევრი რამ ახსოვს ჩვენს იმერეთს, განსაკუთრებით ჩვენის ცხოვრებისა და ზნეობის წინაშე მიუძღვის მას ბევრი ღვაწლი. ჩვენში პირველად იმან და მისმა მეუღლემ შემოიღეს უცხო სტუმრების გამასპინძლება... იმედი გვაქვს, რომ მომავალი უფრო ღირსეულად დააფასებს და უფრო შესაფერის სახელითაც თ. ნ. წერეთელს... ზოგიერთს პირებს კი იმდენად ნაყოფიერად მიაჩნდათ განსვენებულის ცხოვრება, რომ შეუძლებელი შეიქმნა ერთის მაღალის ხარისხის მქონის ორატორისათვის ყველა კეთილის საქმეების ჩამოთვლა, რომელიც თ. ნ. წერეთელს სიცოცხლეში ჩაედინა და მხოლოდ ამას დასძახოდა მცხედარს: «შენ, ნ. წერეთელო, შესანიშნავი ქართველი იყავი! შენ, ნ. წერეთელო, სახელოვანის გვარისა იყავი! შენ, ნ. წერეთელო, გამოჩენილის შთამომავლობისა იყავი»!...

***

ჭირს გაძლება უნდა მაშინაც, როდესაც სასულიერო გაზეთი «მწყემსი» უნუგეშო სურათს გვიხატავს წარსულის წლის ცხოვრებიდგან. წარსულის წლის ფონზედ «მწყემსის» რედაქცია ხედავს ყოველს გვარს სულიერს, ზნეობითს და ნივთიერს დაცემულებას, სილატაკეს. რაებსა ვხედავდით ჩვენ წარსულს წელშიო, ეკითხება თავიანთს დარბაისელს მკითხველებს არა ნაკლებ დარბაისელი «მწყემსის» რედაქცია. თვალ-საჩინოდ ხალხში ზნეობის დაცემასაო, ქურდობასაო, ავაზაკობასაო, ტყუილ ფიცსაო და უბრალო მიზეზებისათვის კაცის ხოცვასაო, ნივთიერად სიღარიბეს და სილატაკესაო, ყოველსავე კეთილს საქმეში უთანხმოებასა და გულგრილობასაო; ვერ შეთვისებულანო ერთად ორი ძმა, ორი მწერალი, ორი საზოგადო საქმისთვის მოსამსახურე პირიო, ვერ შეთვისებულან ორი გაზეთი და ერთი ჟურნალი ერთადო და სხვ. და სხვ...

როგორც ხედავს მკითხველი, ჩვენი საქმე ისე წამხდარა, რომ, რაღა ბევრი გავაგრძელო, მხოლოდ ის-ღა დაგვრჩენია, რომ საფლავები გავითხაროთ და შიგ ჩავწვეთ... მაგრამ ნუ გეშინიანთ! ხომ გაგიგონიათ: ამან გატკინა, ამანვე მოგარჩინოსო, ჩვენი ბებრუხანები რომ ამბობენ ხოლმე... სწორედ შუა წელში გვიწერს «მწყემსის» რედაქცია: «ისტორია გვიმტკიცებსო, რომ, როდესაც ხალხი რაიმე განსაცდელში ვარდება, იქ იბადება: ერთობა, ძმობა, სიყვარული, კეთილ-ზნეობა, და კეთილისადმი გულ-

*) იხ. «დროება» № 23.

თქვენთვის ორთაჭალაშია გაკეთებული ხიდი, იქ წაასხით ცხვარიო. ხიდიდამ მოკიდებული, მიუდის მემცხვარეს, ვაითა და ვაგლახით, თავისი ცხვარი შუა ქალაქის ვიწრო ქუჩებში და ჩადის ნარჩევებ ხიდზე, შემდეგ დიდი წვალებისა. იქიდამ ისევ ისეთი სივიწროე და დავიდარაბით ერეკება ქუკიისაკენ, მირზოევის ბაკებში. იქ მეცხვარემ, ვთქვათ, გაყიდა 27 სული. სამი ცხვარი არ ეყიდება. უნდა სოფელში გაირეკოს, მეტი გზა არ არის. მიხაილოვის ხიდზე კიდევ არ გაატარებენ. უნდა ჩავიდეს იმავე წვალებით ორთაჭალას, იქიდამ შუა ქალაქში ამოიაროს, გავიდეს ვერაზე და იქიდამ სოფელში წავიდეს.

ცალკე დრო იკარგება, ცალკე ათასი წვალება და შევიწროება. ძალიან კარგი იქნება, რომ, ვისიც რიგია, მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება და ოც-და-ათამდის ცხვარი მაინც გაატარებინონ მომრეკთ შუა ქალაქის ხიდებზე და მხოლოდ ფარების გატარება იყოს აკრძალული, თორემ ძალიან საცოდაობა და შევიწროება ადგიათ მომრეკთ.

≈≈ კავკასიის მთავარ-მმართებელს, შარშან მიღებულის დებულობით, უნდა ჰყავნდეს თანაშემწე, რომელიც აქამდის ჯერ არ იყო დანიშნული. ეხლა ამ თანამდებობაზე გაუმწესებიათ გენერალ-ლეიტენანტი ს. ა. შერემეტიევი («Новости»).

≈≈ «კრუჟოკის» ზალაში, 25 იანვარს, იყო კონცერტი, თელავის საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ. ნაღდი შემოსავალი შესდგა 518 მანათი, რომელიც უკვე იგზავნება ხსენებულ სასწავლებელში. კონცერტის გამმართველნი მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ კონცერტის მოხერხებაში («Кавказъ»).

≈≈ როდოკონაკის კამპანიას შავს ზღვაზედ სასიარულოდ შეუკვეთნია სამი ახალი ცეცხლის გემი თითო გემს შეეძლება 80000 ფუთის ზიდვა. ეს გემები გაზაფხულისათვის მზად იქნებიან (მოსკ. უწყ).

≈≈ «ახალს მიმომხილვას» სწერენ, რომ ქ. შუშაში მეგდესი-აკოფოვს განძრახვა აქვს გამოსცეს შეერთებული გაზეთი სომხურს, რუსულს და თათრულს ენებზე. გაზეთს ერქმევა სახელად «შუშის განცხადებანი».

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა მივუძღვნა მარიამ ივანოვის ქალს იმ საჩუქრებისათვის, რომელიც მისგან მივიღე ჩემდამო რწმუნებული სკოლის ღარიბ მოსწავლეთ დასარიგებლად ამა იანვრის 14 რიცხვს წმ. ნინოობას. სოფლის სკოლისათვის 400-დე ფურცელი საწერი ქაღალდის, ერთი კოლოფი კალმების, ამდენივე გრიფილების და სამიოდ გირვანქა მელნის ვისმესაგან შეწირვა სხვა ქვეყანაში ისეთი ჩვეულებრივი შემთხვევაა, რომ ამ ამბის გაზეთში მოხსენება იქ სასაცილოდაც ჩაითვლებოდა, — ჩვენში კი სახალხო სკოლისათვის ვისმეს მხრით რაიმე, თუნდ ასე მცირედი თანაგრძნობაც, იმდენად უცხო ხილია, რომ მე სახალხო სკოლის მასწავლებლის გულმა არ მომითმინა საქვეყნოდ არ მომეხსენებინა ეს პირველი სასიამოვნო შემთხვევა ჩემს ექვსი წლის სოფლის მასწავლებლობის პრაქტიკაში. — ღმერთმა ჰქნას სხვა ჩვენებურ ქალაქელ მანდილოსნებსაც მიებაძოთ ამ მაგალითისათვის და შეძლების და გვარად თანაგრძნობა აღმოეჩინოთ, სადაც ხელი მიუწვდებათ, ჩვენებური სახალხო სკოლის ღარიბ მოწაფეთათვის, რომელთაც ხშირად იმდენი შეძლება არ აქვთ, რომ უსაჭიროესი სასწავლო ნივთები შეიძინონ თავის ფულით.

ბახვის სკოლის მასწავლებელი.

ნინო შარაშიძისა.

1884 წ. 16 იანვარი.
სოფ. ბახვი.

## უცხოეთი

— ამ ჟამად მთელი ევროპის ჟურნალ-გაზეთების ყურადღება მიქცეულია საფრანგეთის მუშების მოძრაობაზე. ყველა ქვეყნების ჟურნალ-გაზეთები ამტკიცებენ, რომ ამ მოძრაობას საშინელი რამ შედეგი მოჰყვებაო.

ამ დღეებში სენის დეპარტამენტის პრეფექტს გაუცია ბრძანება, რომლის მალითაც ყველა სახლის პატრონები მოვალენი არიან, რათა ამას იქით მჩვრებს, სადილის მონარჩენს, სახლის ავეჯეულობის ნამტვრევს და სხვა ამ გვარს საგნებს აგროვებდნენ გოდრებში და თავის სახლების წინ სდგამდნენ. აქედამ ეს გოდრები უნდა წაიღონ და ქალაქს გარედ გადაყარონ ამისთვის შემდგარ კომპანიის წევრთა. აქამდენ ასე არ იყო. პარიჟში მრავალი მივარდნილი, ბნელი და ტენიანი უბნებია, რომლებშიაც უშველებელი სახლები სდგანან. ამ სახლებში სცხოვრობს ღარიბ-ღატაკი, დამშეული ხალხი, რომელსაც «მეძონძეთ» ეძახიან. შეიქნებოდა თუ არა შუა-ღამე, ეს «მეძონძენი» გადიკიდებდენ ზურგზე ტომრებს, დაიკიდებდენ გულზე ფანრებს, დაიჭერდენ ხელში ჯოხებს, რომლებსაც ბოლოებზე რკინის კავები ჰქონდათ გაკეთებული, გამოვიდოდენ ქუჩებში და ნაგვის გროვებში აგროვებდენ ზემოთ ჩამოთვლილს საგნებს. მოატანდა თუ არა განთიადი, «მეძონძენი» ისევ წავიდოდენ თავიანთ დაღრუმლულს სადგურებში და იქ იყვნენ მიმალულნი, ვიდრემდის შუაღამე მოატანდა. ამბობენ, რომ ამ «მეძონძეთა» რიცხვი პარიჟში 20,000 კაცამდის იქნებაო და თუ ამ რიცხვს მათ ცოლშვილსაც მიუმატებთ, მაშინ 50,000 მომატებულიც უნდა იყოსო. ესენი აქამდის აღწერილი ხელობით, ანუ, როგორც ფრანცუზები ამბობენ, ძონძებით სცხოვრობდენ. ამისათვის სენის დეპარტამენტის პრეფექტს თუმცა დიდი მზრუნველობა გამოუჩენია ქალაქის სისუფთავის შესახებ, მაგრამ ამასთანავე ამ მზრუნველობით იმას 50,000 ადამიანი ულუკმა-პუროდ დაუგდია. როდესაც ხსენებული ბრძანება შეიტყეს, საცოდავთ «მეძონძეთ» თავს-ზარი თურმე დაეცათ, მაშინათვე შეიყარნენ თავის მდგომარეობის განსასჯელად და დეპუტაცია დეპუტაციაზე გაგზავნეს თურმე პრეფექტთან და სთხოვეს გაუქმება მათი შემავიწროებელი ბრძანებისა. აი ასეთს მდგომარეობაში ჩაცვივდენ საწყალი «მეძონძენი» და რით გათავდება მათი საქმე — ჯერ არავინ იცის; მხოლოდ ეს კია, რომ უცხოელი ჟურნალ-გაზეთები სასტიკად ჰკიცხავენ მმართებლობას ამ საქმის გამო და ამტკიცებენ, რომ რევოლიუცია აუცილებელია და ამ ახლო ხანებში უეჭველად დაიწყება კიდევაო. თუმცა ზოგიერთა მმართებლობის ორგანები ამართლებენ სენის დეპარტამენტის პრეფექტს

---

მოდგინებითი ლტოლვილებაო. ჩვენ წარსულს წელში, სამწუხაროდ, ვერაფერს ამისთანას ვერ ვხედავთო». ღმერთმა კი გიშველოს «მწყემსის» რედაქციავ! პინალამ გული გამისკდა, რადგან ჩვენი თავი განსაცდელში ჩავარდნილი კი არა, კუბოში ჩადებული მეგონა, ზევით ისეთი ზნეობითი და ნივთიერი «სიღარიბე და სიღატაკე» მითხარი!.. მაშ, ჰერი ბიჭო, განსაცდელში არა ვჰყოფილვართ, რადგან ჩვენში არ სუფევს ერთობა, ძმობა, კეთილ-ზნეობა და სხ. და სხ... მაგრამ თუ ეს ყველა მართალია, ნუთუ განსაცდელში არ ვჰყოფილვართ?!. ეს რაღაც ბოდვას, გალიმატიასა ჰგავს!.. ერთი მეც საქმე გამომლევია, რომ «მწყემსის» რედაქციის სიტყვების უთავბოლოდ რახა-რუხს მნიშვნელობას ვაძლევ!.. აბა, «მწყემსის» რედაქციას საიდგან ეცოდინება, რომ ჩვენში ორის მაგიერად ოციც და ორმოციც მუშაობს საზოგადო საქმისათვის, რომ ჩვენში მშვენიერად მოთავსებულა ერთად გაზეთი და ჟურნალი და ერთსა და იმავე საგანს მისდევენ და სხ. და სხ... და თუ ჟურნალი და გაზეთი ერთმანეთს ებაასება და ხანდისხანაც კარგს სილას გაარტყამენ ხოლმე ერთმანერთს, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ვერ მოთავსებულან ერთად და არ ემსახურებიან ერთსა და იმავე საქმეს!.. «ცოტა რამე სამდურავი მოყვარეთა წესიაო» უთქვამთ...

***

მაგრამ ამ საზოგადო საქმედ ჩვენს ჟურნალ-გაზეთობას სულაც არ მიაჩნია ის საქმე, რომელიც ხელში დაუჭერია «მწყემსის» რედაქციას საახალწლო სამკვლევად. მართლაც, შარშან რომ თ. გრ. ორბელიანზედ და ბ. ს. მესხზედ ბევრი რამ კარგი ილაპარაკა «დროებამ» და «ივერიამ», მ. დ. ლამბაშიძეს, «მწყემსის» რედაქტორს, სულაც არ მოსწონს. აბა, რა მამულის-შვილობა, რა პატრიოტობა გამოიჩინეს იმათაო; აბა, იმისთანა რა ჰქნეს, რომ გამოგვიყრუეს ყურები წერით და ლაპარაკით მათს პატრიოტობაზე, მათს მამულის სიყვარულზე და სხ. და სხ. თურმე სრულიად არაფერი! «მზად იყვნენო ბანქოს თამაშობით ორი ათასი მანათი დაეღუპათ, მაგრამ თვის ეკლესიის სასარგებლოდ და მღვდლის სარჩოდ ორს მანათს ვერ გაამეტებინებდითო!»*)

ვაი, დალუპულო ცოლო და შვილო! არ კი ჩამოღერღა «მწყემსის» რედაქციამ! «მღვდლის სარჩოდ ორს მანეთს ვერ გაამეტებინებდითო», და, აბა, ვინ სთქვა მათი პატრიოტობა და მამულის სიყვარულობაო!? მაშ, რაღა, — თუ გნებავთ, ბატონებო, რომ პატრიოტები გახდეთ... აი, მაშინ კი ნამდვილი პატრიოტები იქნებით და «მწყემსის» ფურცლებზე უკვდავიც გახდებით!.. ესეც ერთი კბილი «მწყემსის» რედაქციისა! დღეგრძელ იყავით და მეორე კბილსაც მალე გამოაჩენს!.. შოთას უთქვამს: «კოკასა შინა რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო».

***

ამისთანა «მწყემსმა», აბა, გმობა არ არის ხალხის წინამძღვრობაზედ იქადაგოს!.. არა, ძმიავ, თუ «მწყემსი» კაცის ღვაწლს, მამულისადმი იმაში ხედავს... ორი მანეთი ვაძლიოთ, თუ იგი ისე უპატიურად ეპყრობა იმისთანა ქართველებს, როგორნიც იყვნენ — გ. ორბელიანი და ს. მესხი მხოლოდ მიტომ, რომ იმათ «თავის ეკლესიის სასარგებლოდ და მღვდლის სარჩოდ ორი მანეთიც» არ გაუმეტებიათ და მათს მოღვაწეობას საზოგადო საქმისადმი... ჩირქსა სცხებს, — შორს, ცხრა მთას იქით მისი წინამძღვრობა; ჩვენს ქვეყანას იგი წინამძღვრობას ვერ გაუწევს. არ გვინდა ჩვენ მისი დაახლოვება სამრევლოსთან, რადგან ამას მხოლოდ ანგარებითი, ვერცხლის-მოყვარეობითი ხასიათი აქვს. ჩვენ ვიცით, რომ წინად გაჭირვების დროს სამღვდელოება ყოველთვის ხალხის წინამძღოლი იყო; ჩვენ გვრწამს, რომ ახლაც მოიძებნება აქა-იქ სამღვდელოებათაგანი, რომელთაც უანგარო სურვილი აქვსთ წინამძღოლობისა და კიდეც ასრულებენ თავიანთს მოვალეობას; მაგრამ ჩვენ არა გვწამს იმ «მწყემსების» წინამძღოლობა, რომელნიც ორი მანათის გულისათვის ქართველს პატრიოტობის სახელს აძლევენ, რომელნიც იმისთანა მამულის შვილებს, პოეტებს და საზოგადო მოღვაწეებს, როგორნიც იყვნენ: ნ. ბარათაშვილი, გ. ორბელიანი, და მესხი, როგორნიც არიან ეხლანდელი პოეტები და საზოგადო მოღვაწენი, შეზღალავენ, უკადრისად მოიხსენებენ მხოლოდ მიტომ, რომ მათ «თავიანთის ეკლესიის სასარგებლოდ და მღვდლის სარჩოდ ორს მანეთსაც ვერ გაამეტებინებდით!»...

გარეშე მაყურებელი.

*) «მწყემსის» რედაქცია პირად არავის ასახელებს, მაგრამ შარშან მხოლოდ ესენი გარდაიცვალნენ, რომლებზედაც წერით და ლაპარაკით ბევრი ითქვა მათს პატრიოტობაზედ და მამულის სიყვარულზედ.

განკარგულებას და სცდილობენ დაამტკიცონ, რომ მუშათა მოძრაობაში საშიში არაფერი არ არისო, მაგრამ მათი ცდილობა ამაოა,—მუშების უკმაყოფილება დღითი-დღე უფრო ძლიერდება და ყველასათვის აშკარა ხდება, რა შედეგიც მოსდევს ამ უკმაყოფილებას. ამას კარგად გრძნობს ფრანცუზული ჟურნალ-გაზეთების უმეტესობა, და გულ-წრფელად აღიარებს, რომ პარიჟის მუშა-ხალხი მართლა ცუდს და ისეთს გაჭირვებულს მდგომარეობაში არის, რომელსაც შეუძლიან დიდი უწესობა გამოიწვიოსო.

— გენერალი გორდონის სუდანში წასვლის შესახებ შემდეგი ცნობებია გაზეთებში მოყვანილი: ეგვიპტის ხედივი გორდონს თურმე თან ატანდა დაიარაღებულს ამალას, მაგრამ უკანასკნელმა არ იმდომა ამალის წაყვანა და უთხრა თურმე ხედივს—ან მარტო წავალ სუდანში, ან მთელი არმიითაო. იმას თან გაჰყოლია, როგორც თანაშემწე და მეგობარი, მხოლოდ პოლკოვნიკი სტიუარტი და აგრეთვე აბდ-ელ-შაქურიც, რომელსაც ეგვიპტის ხედივმა ისევ დაუმტკიცა დარფურის ემირობა; მაგრამ, როგორც იწერებიან, ეს უკანასკნელი მარტო კოროსკომდინ იგდის გორდონთან; აქედამ კი გორდონი ნილოსს ასცდება და პირ-და-პირ აბუ-ჰამეთისკენ გასწევს; აბდ-ელ-შაქური კი ისევ წყლით დონგოლაში მივა. ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ გორდონის მხრივ დიდი გაბედულობა, მეტის-მეტი, თითქმის უგუნური თავის გამეტება ესე მარტოდ და იმოდენი ფულით მგზავრობა იმისთანა ადგილებში, სადაც აჯანყებულები თავისუფლად დაიარებიანო. ამასთანავე იმასაც ამბობენ, რომ გორდონს ამ გვარად, ასე გულადად და მამაცურად ბევრჯერ უმგზავრია, როდესაც სუდანის გენერალ-გუბერნატორად იყოვო, მაგრამ არავითარი ხიფათი არ შემთხვევიაო. გორდონის ამ გვარი ვაჟ-კაცობის, გულადობის და უშიშრობის გამო, ადგილობრივი მცხოვრებლები დარწმუნებულნი არიან, რომ იგი ყოვლის-ფრისგან უვნებელიაო.

ჩვენც ჩვენ მხრივ დაუმატებთ, რომ მართლა მეტის-მეტი თავის-გამოდებაა გორდონის მხრივ მარტოდ და იმოდენა ფულით მოგზაურობა აფრიკის უდაბნოებში, სადაც გალომებული აჯანყებულები ფუტკარივით ფუთფუთებენ, და თუ იმისი ტყვედ წაყვანა, როგორც ჩვენის გაზეთის წინა №№-ში დაბეჭდილ ტელეგრამებში იყო ცნობილი, არ გამართლდა და გუშინ-წინდელი კაიროდგან მოსული ტელეგრამა—ვითომც გორდონი ბერბერში მისულიყვეს—ნამდვილი გამოდგა,—მაინც ძნელი მოსალოდნელია, რომ ასცდეს იგი განსაცდელს და მტერს არ ჩაუვარდეს ხელში.

## ბიბლიოგრაფია.

(ქართული კალენდარი 1884 წ., გამოცემული ზ. მთაწმინდელისაგან).

დღემდის ქართველებს არცა გვქონია და არცა გვაქვს ხეირიანად შედგენილი კალენდარი, თუმცა ძლიერ საჭირო კია საყოველთაო სახმარებლად და სასარგებლო ცნობების ამოსაკითხად. კალენდარი აუცილებლად ესაჭიროება საზოგადოებას, რომელიც ცოტათი მაინც შესჩვევია მწერლობასა და თვალ-ყურს ადევნებს თავის ცხოვრებას. ჩვენა გვქონია რაოდენიმე კალენდარი, რომელთა შორის საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს «დროების» ძველი რედაქციის მიერ გამოცემული ათიოდე წლის წინად. გარდა ამისა, ყოველ წელიწადს გამოიცემა ხოლმე პატარ-პატარა კალენდარები, რომელთ შესახებ ლაპარაკიც არა ღირს.

ბ. ზ. მთაწმინდელს უკისრნია ქართული კალენდრის გამოცემა; აზრი სწორედ კარგი მოსვლია, მაგრამ საქმე ის არის, თუ რაოდენად რიგიანად განახორციელა ეს აზრი, რაოდენად დააკმაყოფილა საზოგადოების საჭიროება და მოთხოვნილება. უნდა ვთქვათ მართალი, რომ ჩვენ ერთს სიტყვასაც არ ვიტყოდით ზ. მთაწმინდელის კალენდრის შესახებ, რადგანაც ეს უკანასკნელი არაფრით არ განსხვავდება სხვა პაწაწინა კალენდრებისაგან; მაგრამ ამ უკანასკნელთა და მთაწმინდელის კალენდრის შორის ერთი თვალსაჩინო განსხვავებაა; მთაწმინდელის კალენდარი სანახევროდ კალენდარია, სანახევროდ კი სხვა-და-სხვა სამეცნიერო და სალიტერატურო წერილების კრებულია, რომელსაც აქვს სრულიად განსაკუთრებული ხასიათი. ამის გამო, იძულებული ვართ მივმართოთ მთაწმინდელის კალენდარს და გავარჩიოთ იგი, რათა საზოგადოებამ დაინახოს, თუ რაოდენის ცოდნით და სინიდისიერებით ეპყრობიან ჩვენში მწიგნობრობას ზოგიერთა გამომცემელნი და შემადგენელნი, რომელთაც უსათუოდ უნდა წაბილწონ ყოველივე, რასაც კი შეეხებიან.

ჩვენი სიტყვა რომ ლიტონი სიტყვა არ არის, მკითხველი დაინახავს ზ. მთაწმინდელის კალენდრის გარჩევისაგან. მართლაც, რას წარმოადგენს მთაწმინდელის კალენდარი? უპირველესად ყოველს კალენდარში მოქცეულნი უნდა იყვნენ ყოველ-გვარი ცნობები, საჭირონი საყოველთაო ცხოვრებაში. კალენდარში უნდა მოიპოვებოდენ აუცილებლად ისტორიული, გეოგრაფიული, ეტნოგრაფიული და სტატისტიკური ცნობები შესახებ იმ ქვეყნისა, რომლის საზოგადოებისათვისაც იგი გამოცემულია; გარდა ამისა, კალენდარში მოყვანილი უნდა იყოს სხვა-და-სხვა დაწესებულებათა რიცხვი, სამართლის, ფოსტის, აქციზის და სხვ. წესები და მრავალი კიდევ სხვა. ყოველივე ამის ცოდნა და შეტყობა მეტად საჭიროა საზოგადოებისათვის, და ესევე შეადგენს აუცილებელს განყოფილებას ყოველი კალენდრისას. შესაძლებელია, ეს საგნები კალენდრის შემადგენელმა შემოკლებით მოიხსენიოს, მაგრამ სრულიად განდევნა მისი კალენდრისაგან ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში კალენდარი ვერ ასრულებს თვის დანიშნულებას და ყოველ-გვარს მნიშვნელობას ჰკარგავს. სწორედ ესევე დამართვია ზ. მთაწმინდელის კალენდარს, რომელიც არ შეიცავს არავითარს საჭირო ცნობას და განყოფილებას, გარდა საეკლესიოსას. კალენდარში მხოლოდ ორიოდე ცნობაა მოყვანილი შესახებ ფოსტისა და ტელეგრაფისა. მაგრამ, მკითხველო, არ გაგიწყრეს ღმერთი და არ ენდო მთაწმინდელის ცნობებს, რადგანაც მთაწმინდელი თითქო ცდილობს შეგვაცდინოს და მართალი არა გაგაგებინოთ-რა. აი, ჩვენი აზრის დამამტკიცებელი საბუთი: მთაწმინდელს მოჰყავს მხოლოდ სამი ცნობა ფოსტის წესებიდგან, მაგრამ ეს სამივე ცნობა სიცრუეა. კალენდარში ნათქვამია: «უბრალო წერილების გაგზავნა მთელს რუსეთის იმპერიაში შვიდი კაპეიკი ღირს». ბ. მთაწმინდელო, ნუ თუ არ იცით, რომ წერილების ფოსტით გაგზავნა დამოკიდებულია მათს წონაზე. უნდა გეთქვათ, რომ თითო ლოტის გაგზავნა ღირს შვიდი კაპ. თქვენ მიერ მოყვანილს ცნობას რომ დაუჯეროთ, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ორი, სამ-გირვანქიანი წერილის გაგზავნაც შვიდი კაპ. ღირს. რაოდენად ტყუილია პირველი ცნობა მთაწმინდელისა, იმოდენად ტყუილია მეორეც: «ზაკაზნოით გაგზავნას (?), ორი მარკა მოუნდება, ე. ი. 14 კაპეიკი». ეს რომ ასე იყოს, მაშინ ათ-გირვანქიანი «ზაკაზნოი» წერილის გაგზავნაც თოთხმეტი კაპ. ეღირებოდა. უნდა იცოდეთ, ბ. მთაწმინდელო, რომ «ზაკაზნოი» წერილის გაგზავნის ფასიც დამოკიდებულია მის წონაზე; ყოველ-გვარი წერილი კი არა, არამედ თითო ლოტი წერილისა ღირს თოთხმეტი კაპ. მესამე ცნობაც ამ გვარად არის მოყვანილი: «ღია წერილის გაგზავნა ოთხი კაპ. წერილის მეორე გვერდზედ უნდა დაიწეროს». რომელია, მთაწმინდელო, მეორე გვერდი, ან რა უნდა დაიწეროს მასზე? აქედგან მკითხველი აშკარად დაინახავს, რომ ზ. მთაწმინდელს არ შესძლებია არამცთუ თვითონვე შეედგინა რომელიმე ძველი ცნობა, არამედ ვერ შესძლებია მისი საიდანმე გამოწერა, ანუ გადმოთარგმნა*).

აი, ამ გვარი კაცი კისრულობს გამოცემას კალენდრისას, რომლის უმთავრესს თვისებას შეადგენს ცნობების სინამდვილე, სიმართლე. მადლობა ღმერთს, რომ ზ. მთაწმინდელს არ მოუყვანია სხვა ცნობებიც, თორემ იმათაც ერთმანეთში ურიგმარიგოდ აურევდა.

ეხლა განვიხილოთ კალენდრის «სალიტერატურო» ნაწილი, რომელშიაც შევხვდებით მწერლობაში ცნობილ პირთა ნაწარმოებებს, სახელდობრ, დ. ბაქრაძისას, რ. ერისთვისას, აკაკი წერეთლისას და ან. ფურცელაძისას. სწორედ გასაკვირველია,

*) ორიოდე ცნობა შესახებ ტელეგრაფის წესებისა გაურკვევლად და ბნელად არიან მოხსენებულნი.

რომ მწერლობაში ცნობილნი პირნი ბეჭდვენ თავიანთ ნაწარმოებებს ისეთს გამოცემაში, როგორიც არის მთაწმინდელის კალენდარი, და ამახინჯებინებენ მათ. აი, დახედეთ აკაკის ლექსსა, დახედეთ ან. ფურცელაძის წერილს, და ადვილად დაინახავთ, თუ რაოდენად დაუმახინჯებია მთაწმინდელს ხსენებულ მწერალთა ნაწარმოებნი. აკაკის ლექსში დარღვეულია ლექსთა წყობილების კანონი; ან. ფურცელაძის წერილში (მოგონება რისგან წარმოსდგება? გვერ. 19) ვკითხულობთ: «მისი მიზეზი მიყოლაა, ვიდრემ ჰკუას». «აი, ძალა მოგონებაებისა და სხვა-და-სხვა სამეცნიერო». ცხადია, რომ ამ გვარი შეცდომანი სრულიად ეკუთვნიან ბ. გამომცემელს. ეხლა თვალი გარდავავლოთ ვიღაცა სრულიად უმეცარი ავტორის წერილს («მეოთხე საუკუნის ქართული მწერლები»). რისთვის და ვისთვის დაუწერია უცნობს ავტორს ეს წერილი, ვერ გაგვიგია და სწორედ კარგად მოქცეულა, რომ თავისი ვინაობა დაუმალავს. ერთი რომ ამ წერილში არ მოიპოვება არავითარი აზრი; ენაც მახინჯია და არა კანონიერი. წერილში შეხვდებით ისეთს აზრებს, რომელთა უხეირობა სწორედ გასაოცარია. ავტორი დარბაისლურად სჯის იმაზე, თუ როდის შემოვიდა წმ. ნინო საქართველოში? ავტორის აზრით, ამის გამოცნობა შეუძლებელია, თუმცა მეისტორიენი «ისტორიის შესწავლაზე თავებს იმტვრევენო და სხვებსაც ამტვრევენო». აბიათარ მღვდელი თექვსმეტი წლისა იყოვო, როცა წმ. ნინო საქართველოში შემოვიდაო, და ჩვენ რომ აბიათარის დაბადების წელიწადი ვიცოდეთო, მაშინ ნინოს შემოსვლის წელსაც შევიტყობდითო, რადგანაც აბიათარი ამ წელს თექვსმეტი წლისა იყოვო. ავტორი სწორედ გამოიცნობდა ნინოს შემოსვლის წელიწადს, აბიათარის დაბადების წელიწადი რომ სცოდნოდა. ავტორის სიტყვით, ქართლის ცხოვრება ვახუშტისაგან «დაჯეჯგნილია» და სხვ. და სხვ. ბევრს დროს წაგვართმევდა ამ წერილის ყოველი უმსგავსოების ჩამოთვლა.

კალენდარი გამომცემელს დაუგვირგვინებია განსვენებული სერგეი მესხის მოკლე ბიოგრაფიით და იმის მოღვაწეობის აღწერით. აი, სწორედ ამისთანა წერილის დაწერა შეუძლიან სრულიად გაუწვრთნელს კალამს და უმეცარს გონებას. დახედეთ გრამატიკას: «სერგეი მესხმა შეასრულა გიმნაზიის სწავლა, რომელიც(?) ამავე წელს დანიშნეს სახელმწიფო ხარჯით პეტერბურგის უნივერსიტეტის კავკაზის(?) (გვერ. 40) სტიპენდიატათა». მეორე ნიმუში: «მაგრამ იმას (სერგეი მესხს) ბედმა უმტყუნა და მალე დაუდო სამზღვარი, რომელიც(?) 1883 წ. ივლისის 21 გამოასალმა საუკუნოდ» (ვის? ვინ?). მთელი წერილი ამ გვარის ენითაა დაწერილი. ავტორი გამოიძახის მერე: «პატივი და დიდება შენ, საყვარელო შვილო(?) სერგეი!..» განსვენებულის სერგეის მეულ-

ლეს ეკატერინე მელიქიშვილისას «პეკეს» უწოდებს. ავტორს, როგორც სჩანს, არა სცოდნია არავითარი ლიტერატურული ზრდილობის წესი.

წერილის ბოლოს ორიოდე სიტყვაა ნათქვამი გრიგოლ ორბელიანის შესახებ. მკითხველს შეუძლიან შეიტყოს, რომ გ. ორბელიანი «გენერალ-ადიუტანტი-გენერალ-ოტ-ინფანტერი და სახელმწიფო რჩევის წევრი» იყო. გამოჩენილი პოეტი იყო, თუ არა გ. ორბელიანი, ეს წერილიდამ არა სჩანს; მხოლოდ მოხსენებულია, რომ «ორბელიანმა ორმოციოდე სასიმღერო და სასიამოვნო ლექსები დაგვიტოვა, რომელნიც დიდის ხელოვნებით არიან სავსენი». ჩვენ არას ვიტყვით ორბელიანზე, მხოლოდ ის კი უნდა ვთქვათ, რომ სწორედ სამწუხაროა, როცა უწვრთნელი კალმის და სრულიად უმეცარი გონების პატრონი, რომელსაც უბრალო მოკითხვის წერილის დაწერაც არ შეუძლიან, სალიტერატურო ასპარეზზე გამობრძანდება და უგვანო წერილებსა ბლაჯნის.

უკაცრავად, მკითხველო, რომ თავი მოგაწყინეთ ზ. მთაწმინდელით. ჩვენ სრულიად არაფერს არ ვიტყოდით მასზე, თუ რომ ის ერთად-ერთი მუდმივი გამომცემელი არ იყოს ქართული წიგნებისა, და გული არ გვეწოდეს ჩვენი მწიგნობრობის საქმისათვის. ჩვენ გულით ვისურვებთ, რომ ზ. მთაწმინდელი ნამდვილს გზას დაადგეს და კეთილ-სინიდისიანად იმუშაოს. მხოლოდ ეს გარემოება გვაიძულებს ვრცლად ვილაპარაკოთ მთაწმინდელზე, თუმცა ყოველი მისი ნაწარმოები და გამოცემა ისეთი რამეა, რაზედაც მწერლობაში ვრცლად ლაპარაკი სამარცხვინოა.

ა. ნანეიშვილი.

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

31 იანვარს.

ოდესსა. ნება-ყოფლობითმა ფლოტმა შეიძინა ინგლისში ახალი ცეცხლის გემი, მთლად ფოლადისა; ეს გემი წელიწად-ნახევარია, რაც გააკეთეს. ამ დღეებში ლონდონში მიდის კრეისერის «პეტერბურგ»-ის კომანდირი და თანაც 40 კაცი კომანდა მიჰყავს ახალი ცეცხლის გემის ოდესსაში მოსატანად.

ნერჩინსკი. წუხელის დაიწვა სახლი, რომელშიაც იმყოფებოდენ მესამე სამხედრო განყოფილება ყაზახის ქვეითა ჯარისა და საგამომძიებლო კომისია; ამ კომისიის ყველა საქმეები დაიწვნენ.

ხარკოვი. იწვის მოსკოვის სასტუმრო ეზო; ჯერ მარტო ექვსი მანუფაქტურის საწყობი დაიწვა; ეშინიანთ, სულ არ დაიწვნენო; ზარალი ძალიან ბევრია.

რიგა. გადიწვა საქსონის ჭურჭლის ქარხანა კუზნეცოვისა; ზარალი 30,000 მანათია.

ლონდონი. კრიტის კუნძულზე ხალხი აჯანყდა; ოსმალეთის მმართებლობამ გაგზავნა იქ 5,000 ჯარის—კაცი სმირნიდგან და სოლონიკიდგან.

ვენა. იმ კომისიის უმეტესობას რომელსაც მინდობილი აქვს განხილვა მმართებლობის განკარგულებისა შესახებ განსაკუთრებულთა ზომათა, პირველი განკარგულება, რომელიც შეეხება ადმინისტრაციულ მოქმედებათა შესახებ საეჭვო პირთა და ბეჭვდის ნაწარმოებთა, კანონიერად იცნა, ხოლო მეორე განკარგულება შესახებ ნაფიცთა სამსჯავროს გაუქმებისა დაადგინა სახეში იქონიოს.

# განცხადებანი

გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | |
|---|---|
| ალი, მოთხ. ნ. ლომოურისა . | 30 კაპ. |
| დედა მაია, მოთხ. ს. მგალობლიშვილისა . . . | 20 — |
| ბედ-უკუღმართი ქალაბობა, მოთხ. ალ. მირიანაშვილისა. . . . . . | 15 — |
| იოვანე შავთელი (ბიოგრაფია) ზ. მთაწმინდელისა . . . | 15 — |
| ნობათი, საყმაწვილო ჟურნალი, თითო 50 კაპ. მთელის წლის . . . . | 4 მან. |
| ხომლი, გამოც. გოგებაშვილისა . . . . . . . | 30 კაპ. |
| კუნწულა, გამ. გოგებაშვილისა | 40 — |
| Первый шагъ, ლ. ალნიაშვილისა . . . . . . . | 40 — |
| ანტონ ფურცელაძის ნაწერი, პირ. წიგნი. . . . . | 1 მან. |
| ანატომია კაცისა, ალ. კაკთელისა . . . . . . . | 15 კაპ. |
| საქართველოს ახსრება, (ისტ. ბროშიურა) . . . . . | 10 კაპ. |
| სამზარეულო, შედგ. ბარ. ჯორჯაძისაგან . . . | 1 მან. |

(5—2)

# პ. წულუკიძის სტამბა

ქუთაისში

დაიბეჭდა და გამოვიდა ქართული

«კედლის კალენდარი»,

სადაც არის სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველებს წესიერი დატივა.

—

ისყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველებს წესიერი დატივა. (30—20)

გამოვიდა იანვრის წიგნი პედაგოგიური ჟურნალის

# „ნობათი“-სა

შინაარსი. ყრმათა საკითხავი წიგნი: I ჯერ შრომა, მერმე ხტომა (აზრი რუსულიდამ) ლექსი თ. რაფ. ერისთვისა. II საახალწლო ფეშქაში— ეკ. გაბაშვილისა. III მოგონება—სურათები ყმაწვილების ცხოვრებიდამ— II შიბა, III ახალ-წელიწადი—ი. რევიშვილისა. IV ყმაწვილი და პეპელა, ლექსი—აკაკისა. V ზალი, ხალხური ლეგენდა—ახვლისა. VI საბრალო ჩიტი (მოთხრობა)—ლილიპუტისა. VII ლომ-კაცი, ზღაპარი, თავი VI—გ. წერეთლისა. VIII ფიქრი არწივისა, პროფეს. მ. ნ. ბოგდანოვისა (რუსულიდამ)—ნინოსი. IX გეოგრაფ. წერილები; წერილი III—იმერეთი—ვაჩნაძიანელისა. X გამოცანები—აკაკისა. XI რებუსი—ალ. მრევლიშვილისა. XII «ნანა», სიმღერა ნოტებით—გადაღებული რ. ძამსაშვილისაგან.

დამატება: XIII ადამიანის აღზრდის საჭიროება და სიძნელე—წყალტუბელისა. XIV სამშობლო ენა—მაღაროელისა. XV წერა-კითხვის გაკვეთილები, გაკვეთილი I—ხეველისა. XVI განცხადებანი. (3—2)

# სტამბა

ევთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრეკტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—28)

ინგლისის მაღაზიაში

# თმის-ამომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—92)



# მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 თებერვლიდამ 1 მარტამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| ქაური ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2½ |
| **იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:** | | | |
| პირველის ხარისხის— | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3½ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| **ჯვარის-მამის პური:** | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | 3½ |
| **ძროხის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხის— | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 9 კ. |
| **ღორის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხის— | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |

# რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. цензур. Тифлисъ, 31 Января 1884 г. ექ. ხელაძის სტამბა (Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.